სამეცნიერო კვლევების
დეპარტამენტის
წლიური მუშაობის ანგარიში
2019 წელი

საერთაშორისო თანამშრომლობა:

• ევროკავშირის პროგრამის ERASMUS+ მიერ დაფინანსებული პროექტის - CBHE (ERASMUS+) Raising Research Capacity of Georgian HEIs through developing R&D units / HERD 598207-EPP-1-2018-1-GE-EPPKA2-CBHE-SP - ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა (მმართველი საბჭოს შეხვედრის კონსერვატორიაში ჩატარების უზრუნველყოფა; პროექტის ფარგლებში დასანერგი სოფტის შინაარსობრივ-საორგანიზაციო საკითხებზე მუშაობა; **სასერტიფიკატო კურსების გავლა:** ა) კურსი „საპატენტო ძიება“, 20-23.05.2019; ბ) კურსი „**DL101GE ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი**“ და სხვ.);

▪ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და ოსლოს მუსიკის აკადემიის ერთობლივი პროექტის (Bridging the Gap - Qualifying Music Students for a Changing Music Profession, CPEA-2015/10004 - 2016-2019, პროექტის ერთ-ერთი მიმართულება: „სადოქტორო პროგრამების გადახედვა“) ფარგლებში სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და მონაწილეობა (16-18 სექტემბერი);

სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი „მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“

კონსერვატორიისა და ინტერნეტ აკადემიის ერთობლივი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის „მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“2019 წლის პირველ და მეორე ნომრებზე მუშაობა: ატვირთული მასალების შეგროვება, რედაქტირება, დაკაბადონება.

ჟურნალის რედაქტორთან, მ.ქავთარაძესთან ერთად, ჟურნალის რეფერირებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება; ჟურნალის 2019 წ. #1 ნომერში შესული სტატიების ორენოვანი ანოტაციების მომზადება ტექინფორმის მიერ მოთხოვნილი სტანდარტის მიხედვით.

RILM-თან ხელშეკრულების დადების მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობა.

კონფერენციების ორგანიზება:

- ვლ.ახობაძისადმი მიძღვნილი კონფერენცია (თანაორგ. ქართ. ხალხ. მუს. შემ. მიმართულება, პროფ. ნ.ზუმბაძე). 30.04.2019;
- თბილისის მესამე საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენცია „მუსიკოლოგია საზღვრებით და საზღვრებს გარეშე, 2-3 მაისი“;
- გ. ორჯონიკიძის დაბადებიდან 90 და გარდაცვალებიდან 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „მუსიკა კულტურის კონტექსტში“ (თანაორგ. ტმკსც, ემერიტუსი რ. წურწუმია), 2-4 დეკემბერი, 2019
- პროფ. გულბაათ ტორაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „გულბაათ ტორაძე და ქართული პროფესიული მუსიკა“(თანაორგანიზატორი თანაორგ. მუსიკის ისტორიის მიმართულება, პროფ. მ.ქავთარაძე), 16.12.2019

მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი, 16.09.2019 – 30.10.2019

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ „მეცნიერებისა და ინოვაციების“ ფესტივალში კონსერვატორიის მონაწილეობის მიზნით შემდეგი ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება, ჩატარება:

- თ. ფუტკარაძის 9 ვოკალური საგა პერფორმანსით „A HUMAN RACE“ (კონსერვატორიის და თსუ-ს ერთობლივი პროექტის „შემოქმედებით ნაპერწკალი“ შედეგად შექმნილი ნაწარმოები) -22.09
- ღია კარის დღე „მუსიკა ჩვენს ცხოვრებაში“- 23.09 – 227.09
- „ნონკონფორმისტული მუსიკა“ - ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის 2018 წ. გამოცემული მასალების (ნოტები, წიგნები, დისკები) გამოფენა; ამ აქტივობის ფარგლებში გამოცემული 2 კომპოზიტორის - ნ. სვანიძისა და მ. შუღლიაშვილის მუსიკის კონცერტი - 25.09
- ვორკშოპი „ქართული დიასპორა ბურსას რეგიონში (თურქეთი) - თეორია და პრაქტიკა“ (ტმკსც-ის ღონისძიება)

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია

- კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის წლიური სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის ანგარიშების მოთხოვნა, თავმოყრა, მოწესრიგება, ციფრულ ფორმატში გადატანა;
- კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის წლიური და 5 წლიანი სამეცნიერო-შემოქმედებითი აქტივობის ანალიზის მომზადება და კონსერვატორიის მართვის ორგანოებისთვის წარდგენა;
- თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორ-მასწავლებელთა, კონცერტმაისტერებისა და მოწვეული პერსონალის დატვირთვების მოდელის შესამუშავებლად და მოსამზადებლად შექმნილ საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
- პლაგიარიზმის პრევენციის ღონისძიებებისადმი მიძღვნილ შეხვედრებში მონაწილეობა;
- ახალი კონფერენციების, საგრანტო პროექტების, სტიპენდიების და სხვ. შესახებ ინფორმაციის მოძიება, გავრცელება;
- კონსერვატორიის ვებ-გვერდზე „კვლევების“ განყოფილების ინფორმაციის განახლება;
- კონსერვატორიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოში მუშაობა;
- პერმანენტულად მუშაობა ნორმატიულ დოკუმენტაციაზე, მიმდინარე კორესპონდეციაზე.